

ქალაქ ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N166 საცხოვრებელ სახლზე,
მოქალაქე ზინა ლომთაძისათვის საკუთრების უფლების
მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა ვაჟა-ფშაველას ქუჩა N166-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე ზინა ლომთაძის განცხადება /2013 წლის 25.01 Nლ-790/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N166/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N166 საცხოვრებელ სახლზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ზინა ლომთაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /ვ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N166 საცხოვრებელ სახლზე /საერთო ფართობი 222,46 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 52,76 კვ.მ, დამხმარე ფართობი 169,70 კვ.მ. რომელიც განთავსებულია 646,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე ზინა ლომთაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე